დანართი 2

**ინფორმაცია 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ**

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი**

ათასი ლარი

| 2024 წელს პრიორიტეტებისა და მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები/ ქვეპროგრამები | (პროგრამული კოდი) | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის მოსალოდნელი შედეგები | მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი * | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი |
| **I. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **01 00** | **22 606,2** | | | |
| ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 01 01 | 2312,6 | საკრებულოს შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება | | |
| ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია | 01 02 | 19165,4 | მერიის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება | | |
| ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური | 01 03 | 10,5 | სამსახურის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება | | |
| სარეზერვო ფონდი | 01 04 | 150,0 | | | |
| წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 01 05 | 62,5 | დაიფარება სააღსრულებლო ბიუროს საინკასო დავალებით, სახაზინო ანგარიშიდან სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები | | |
| მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა | 01 06 | 905,2 | სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის მომსახურების და ვალდებულების დაფარვა | | |
| **II. ინფრასტრუქტურის განვითარება** | **02 00** | **29 690,3** | | | |
| **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** | **02 01** | **16232,1** | | | |
| გზების კაპიტალური შეკეთება | 02 01 01 | 13791,3 | მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა. მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილება. | 2023 წელს კაპიტალურად შეკეთდა 6 ქუჩა სრულად და 4 ქუჩის მონაკვეთი, 6700 გრძივი მეტრი, საერთო ფართით 29210 კვ.მ. | 2024 წელს კაპიტალურად შეკეთდება 7 ქუჩა საერთო ფართით 7919 გრძივი მეტრის, მოეწყობა ტროტუარები საერთო ფართით 1400 კვ.მ. |
| გზების მიმდინარე შეკეთება | 02 01 02 | 300,0 | მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა. მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილება. | ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების ორმული შეკეთების (მიმდინარე რემონტი) სამუშაოები ჩატარდა სამეგრელოსა და რკინიგზის მოედნებზე, ჭანტურიას, ფარნავაზ მეფის, ლაგრანჟეს, ჩხაიძის, ილიას, აღმაშენებლის, გორგასლის, კოსტავას, აფხაზეთის, გაგრის ქუჩებზე და რუსთაველის რკალზე. საერთო ფართმა შეადგინა - 9575 კვ.მ. | 2024 წელს, დაზიანებული მონაკვეთების ორმული შეკეთების (მიმდინარე რემონტი) სამუშაოები ჩაუტარდება - 9800 კვ.მ. გზის საფარს |
| საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 02 01 03 | 1155,7 | ორგანიზებული საგზაო მოძრაობა; საგზაო შემთხვევათა პრევენცია; ტრანსპორტისა და ქვეითთა (ბავშვების, ქალების, შშმ პირების, მოხუცების და სხვა) უსაფრთხო გადაადგილებისთვის შექმნილი პირობები. | განხორციელდა 183 ვიდეო სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობის სამუშაო, ხოლო კაპიტალურად შეკეთდა 29 ერთეული ვიდეო-კამერა. დამონტაჟებულ იქნა 50 ერთეული საგზაო ნიშანი. | 2024 წელს განხორციელდა 182 ვიდეოსათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობის სამუშაო, ხოლო კაპიტალურად შეკეთდა 40 ერთეული ვიდეო-კამერა. საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე ჰორიზონტალურად მოინიშნება 7970 კვ.მ ფართი |
| ქუჩების სარემონტო სამუშაოები | 02 01 04 | 985,1 | ქუჩების მოხრეშვა, დაგრეიდერება და წლის მანძილზე გზების მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება. შექმნილი უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების პირობები. | 2023 წელს დაგრეიდერდა 437178 კვ.მ გზის საფარი, 73 ქუჩის და 7 ს/სახლის ეზოების მოსახრეშად გამოყენებულ იქნა 2 235,9 კუბ.მ ღორღი (ქვიშა), ქუჩების კეთილმოწყობა-დასუფთავების მიზნით ჩატარდა სხვადასხვა სახის სამუშაოები | 2024 წელს დაგრეიდერდება 40000 კვ.მ გზის საფარი, ქუჩების მოსახრეშად გამოყენებულ იქნება 2400 კუბ.მ ღორღი, ს/სახლების ეზოების მოსახრეშად- 500 კუბ.მ. 20 ქუჩაზე კეთილმოწყობა-დასუფთავების მიზნით ჩატარდება სხვადასხვა სახის სამუშაოები და საბინაო განყოფილებასთან ერთად ს/სახლების წყალსაწრეტი სისტემის შეცვლა-მონტაჟი-შეკეთების სამუშაოები |
| **გარე განათება** | **02 02** | **1178,90** | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გარე განათების ელ. ენერგიის ხარჯების ანაზღაურება | 02 02 01 | 650,0 | განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება და ღამის საათებში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირების) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა. | დაფინანსდა 255 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, 633 სადარბაზოს განათების ხარჯი, 3600 ბოძის, 6800 სანათის მიერ გახარჯული ელ. ენერგიის საფასური | 2024 წელს ანაზღაურებულ იქნება 255 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 633 სადარბაზოს განათების ხარჯი და გარე განათების 3600 ბოძის 6800 სანათის მიერ გახარჯული ელ ენერგიის საფასური |
| გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა | 02 02 02 | 528,9 | ნებისმიერ კლიმატური პირობებში, გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტისა და ქვეითთა უსაფრთხო გადაადგილება. | 2023 წელს გამოიცვალა: დროსელი-63, ეკო ნათურა 280ც, ელ.კაბელი-2515 გრძ. მ, ლედსანათის ჩიპები-133ც, ლედსანათის დრაივერები -192ც, ლედის პროჟექტორი-20ც, ელ. გამთიშველი -71ც, ლედ.სანათი -35ც, გოფრირებული მილი -307გრძ.მ, განათების ბურთი 55 ც. და სხვა | 2024 წელს განხორციელდება გარე განათების წერტების 6800 ერთეულის, ბოძების -3600 ერთეულის მოვლა-პატრონობა. წლის განმავლობაში გამოიცვლება 80 ერთეული ლამპიონი, 20 ერთეული ბოძი, სადენი 3000 გრძ.მ, პროჟექტორი 45 ერთეული და სხვა. |
| **სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **02 03** | **1528,8** | | | |
| სატუმბო სადგურების ელ. ენერგიის ხარჯების ანაზღაურება | 02 03 01 | 50,0 | გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა. | 8 სატუმბო სადგურის ელექტრო ენერგიის ხარჯების დაფინანსება. | 2024 წელს დაფინანსდება 8 სატუმბო სადგურის ელექტრო ენერგიის ხარჯი |
| სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობა | 02 03 02 | 1 045,0 | სატუმბი სადგურების გამართული მუშაობა და სანიაღვრე არხებში წყლის გამტარიანობის გაზრდა-უზრუნველყოფა. | 2023 წელს ამოწმენდილ იქნა 202106 გრძივი მეტრი სანიაღვრე არხები, მოხდა 8 ერთეული ხიდ-ბოგირის დემონტაჟი-მონტაჟი, დაიგო 11 ერთეული ბეტონის ფილა. პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 3 ერთეულ სატუმბ სადგურს | 2024 წელს ამოიწმინდება 250000 გრძ.მ სანიარვრე არხები და პროფილაქტიკური მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები ჩაუტარდება 8 ერთეულ სატუმბ სადგურს. მოხდება 10 ერთეული პრობლემური ხიდბოგირის დემონტაჟი-გაწმენდა-მონტაჟი. |
| სანიაღვრე არხების მოწყობა, სატუმბო სადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 02 03 03 | 433,8 | შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა. | აბესალომ ვეკუას ქუჩაზე, ახალი სატუმბი სადგურის მშენებლობა | 2024 წელს სამუშაოები ჩაუტარდება 8 სატუმბ სადგურს, პროექტირება რეაბილიტაცია განხორციელდება 9 ერთეულ სანიაღვრე კოლექტორზე. გაიწმინდება 11 ერთეული მაგისტრალური არხი. |
| **ბინათმშენებლობა** | **02 04** | **4 115,7** | | | |
| მრავალსართულიანი ს/სახლების ფასადების, სახურავებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია | 02 04 01 | 3207,8 | მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. შენობების ექსპლოატაციის ვადის გაზრდა. | 2023 წელს 90 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი რეაბილიტირდა (ქანობიანი და რბილი გადახურვა) | 2024 წელს კაპიტალურად გადაიხურება 18 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი და ფასადის მოწესრიგების სამუშაოები ჩაუტარდება 9 სახლს. |
| მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია | 02 04 02 | 570 | მოწესრიგებული და გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა. მოწყვლადი ჯგუფებისთვის მაღალ სართულებზე გადაადგილების ხელშეწყობა. | მოხდა 6 მრავალბინიანი ს/სახლის ლიფტების რეაბილიტაცია | 2024 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება 9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ლიფტებს |
| საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობა | 02 04 03 | 337,9 | მოწესრიგებული და გამართული, გენდერულად პასუხისმგებლიანი კომუნალური ინფრასტრუქტურა. | 2023 წელს გაიწმინდა საკანალიზაციო ქსელი და ჭები-457 ს/სახლში და 7 სკოლამდელ დაწესებულებაში, საპირფარეშოები და ს/სახლების ეზოებში, ს/სახლების ეზოებში, სართულებშუა და სარდაფებში დამონტაჟდა 519,5 გრძ.მ საკანალიზაციო სისტემა და 494 ცალი ფასონური ნაწილები, შეკეთდა და მოპირკეთდა საკანალიზაციო ჭები-24 ცალი, დამონტაჟდა საკანალიზაციო ჭის რკინა-ბეტონის სახურავები-17 ც, ს/სახლების სარდაფებიდან ამოიტუმბა წყალი და ფეკალური მასა 9150კუბ.მ, გაიწმინდა-შეკეთდა-გამოიცვალა-დამონტაჟდა სახურავის წყალსაწრეტი სისტემა | 2024 წელს გაიწმინდება საკანალიზაციო ქსელი და ჭები (1200ც), საერთო სარგებლობის ამონიჩბვის ორმოები(14ც) და საპირფარეშოები (10ცალი), ს/სახლების ეზოებში, სართულებსშუა და სარდაფებში დამონტაჟდება საკანალიზაციო სისტემა და ფასონური ნაწილები, შეკეთდება და მოპირკეთდება საკანალიზაციო ჭები, დამონტაჟდება საკანალიზაციო ჭის რკინა-ბეტონის სახურავები, ეზოებში მოისხმება ბეტონის საფარი, ს/სახლების სარდაფებიდან ამოიტუმბება წყალი და ფეკალური მასა, გაიწმინდება-შეკეთდება-გამოიცვალება-დამონტაჟდება სახურავის წყალსაწრეტი სისტემა. სამუშაოების რაოდენობა-ჯერადობა განისაზღვრება მოსახლეობიდან შემოსული შეტყობინება-განცხადებების რაოდენობაზე და ასევე, სპეციალისტების მიერ ჩატარებული მონიტორინგის (აღმოჩენილი დაზიანებების) შედეგებზე. |
| **მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **02 05** | **390,6** | მოწესრიგებული და გამართული ინფრასტრუქტურა. ბენეფიციარებისათვის შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა. | ჩატარდა ბავშვთა ცენტრის ადმინისტრაციული შენობის სახურავის კაპ. შეკეთების სამუშაოები და ხობის ქუჩა N22-ში და გურიის ქუჩა N2-ში მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოები პროექტირება-ექსპერტიზით | 2024 წელს განხორციელდება მერიის ადმინისტრაციული შენობის კაპ. რემონტი, 9 აპრილის ხეივანი N26-ში მდებარე დიალეზის კაბინეტის რეაბილიტაცია, აღმაშენებლის ქ. N12-ში მდებარე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაწყობე შენობის რეაბილიტაცია |
| **კეთილმოწყობის ღონისძიებები** | **02 06** | **2 809,1** | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია | 02 06 01 | 2041,1 | ქალაქის იერსახის და მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება. | ახალი რაიონის ტერიტორიაზე მოეწყო მცირე ზომის სკვერი, ცენტრალურ პარკში შეიქმნა ღია მულტიფუნქციური სივრცე, კეთილმოეწყო 5 მრავალბინიანი ს/სახლის ეზო და შეძენილ იქნა 12 ერთეული დროშა. საახალწლო ქალაქგაფორმებისათვის შეძენილ იქნა 379,1 ათ. ლარის ინვენტარი. | 2024 წელს მოეწყობა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები 12 ლოკაციაზე, 4 ლოკაციაზე მოეწყობა დასასვენებელი სივრცე, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება მალთაყვის სანაპირო ზოლს. |
| ატრაქციონებისა და ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟი | 02 06 02 | 580,0 | ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების უზრუნველყოფა | | 2024 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 10 ლოკაციაზე მოეწყობა ატრაქციონები და ტრენაჟორები |
| სასაფლაოების მოვლა-პატრონობა | 02 06 03 | 188,0 | სარიტუალო მომსახურებისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესება. | გაცელილია ფართობი - 175 000კვ.მ, შეკეთებულია 118 კვ.მ ღობე, ჭიშკარი და 3 კუტიკარი | გაიცელება ფართობი-205 000 კვ.მ, შეკეთდება ღობე, 2 ჭიშკარი და 8 კუტიკარი |
| **სერვისების ცენტრის ხელშეწყობა** | **02 07** | **556,3** | სამსახურის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება | სამსახურის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, საჭირო შესყიდვების წარმოება | სამსახურის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება |
| **სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება** | **02 08** | **372,2** | სამუშაო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვა, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამშენებლო სამუშაოების მიღება და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია. | მუნიციპალიტეტის მიერ 50000 ლარზე ზევით გაფორმებულ ხელშეკრულებებზე ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება | 2024 წლის განმავლობაში განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა, შესამოწმებელი პროექტების ჯამური ღირებულება 13 600 000 ლარი. |
| **ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის პროექტირება** | **02 09** | **712,9** | ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროული და კვალიფიციური მომზადება, შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს). | | 2024 წელს შესყიდულ იქნება 60 საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაცია ღირებულებით 275 000 ლარი. |
| **ცენტრალური პარკის ხელშეწყობა** | **02 13** | **1 241,0** | მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო. | დაირგო 60 000 ძირი ხე მცენარე, ყვავილი, ბუჩქი და სხვა სახის ნარგავები, პარკში მწვანე საფარი გაითიბა 10-ჯერ - 3000 კვ.მ, ხეების შესხეპვა-გადაბელვა და კირით შეღებვა - 2000 ძირი; ბუჩქების ფორმირება და სხვა. მოეწყო დამატებით 15 ვიდეო სათვალთვალო კამერა, დინამიკები, განათებები პალმებზე. განთავსდა სათამაშო სახლები, სასრიალოები, სკამები, ტენისის მაგიდები. | 2024 წელს დაირგვება 100 ძირი ხე მცენარე, ყვავილი, ბუჩქი და სხვა სახის ნარგავები, პარკში მწვანე საფარი გაითიბება - 3000 კვ.მ, მოხდება ხეების შესხეპვა-გადაბელვა და კირით შეღებვა; ბუჩქების ფორმირება და სხვა. ჩატარდება ღონისძიებები. |
| **მუნიციპალური ინსპექციის ხელშეწყობა** | **02 14** | **552,7** | ქალაქის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის იერსახის, რეკლამის, აბრის, გარე ვაჭრობის, ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანების, კომპეტენციის ფარგლებში სანიტარული კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება. | 2023 წელს გამოვლინდა 9 ადმინისტრაციული სამართალ დარღვევა. გატარდა სხვადასხვა სახის პროფილაქტიკური ღონისძიებები. კერძოდ, ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ მოწესრიგდა შენობა-ნაგებობის იერსახე 10 ლოკაციაზე, აღკვეთილი იქნა სხვადასხვა ლოკაციაზე 18 გარე-ვაჭრობის ფაქტი, 6 ლოკაცია განთავისუფლდა საზოგადოებრივი სივრცის თვითნებურად დაკავების გამო. | 2024 წელს გამოვლინდა 40 ადმინისტრაციული სამართალ დარღვევა.გამოვლინდა უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის 8 ფაქტი. ადმინისტრაციული სამართალ დარღვევების გამოვლენა და აღმოფხვრა. |
| **III. დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **03 00** | **4 139,8** | | | |
| დასუფთავება და ნარჩენების გატანა | **03 01** | **2 471,6** | ქუჩების დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება. | 2023 წელს 41 ქუჩის დაგვა-დასუფთავება - 374328 კვ.მ ფართით, წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი ნარჩენების რაოდენობა - 55 ტონა დღეში და დასუფთავებული ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძე - 2500 მეტრი, ფართით 50 147 კვ.მ. შეკეთდა 80 ცალი დაზიანებული სანაგვე კონტეინერები. | 2024 წელს დღეში 2-ჯერ (ცენტრალური ქუჩები დღეში 3-ჯერ) დაიგვება 44 ქუჩა ფართით -400 000 კვ.მ. მომსახურება გაეწევა 780 ურნას, ყოველდღიურად გატანილ იქნება 55ტ ნაგავი, სეზონურად დასუფთავდება ზღვის სანაპირო ზოლი 5-6კმ, შეკეთებულ იქნება სანაგვე კონტეინერი-80ც |
| დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება | **03 02** | **162,5** | ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ყოველთვიურად ამოღებული თანხების მოცულობის გაზრდა. | იურიდიული პირებისგან ამოღებული თანხის ოდენობა - 639 520,0 ათ. ლარი და მოსახლეობიდან ამოღებული თანხის ოდენობა - 81 528 ათ. ლარი. | 2024 წელს ფიზიკური და იურიდიული პირებიდან ამოღებულ იქნება 730 000 ლარი |
| გამწვანების სამუშაოები | **03 03** | **400,0** | | | |
| გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა | **03 04** | **761,7** | ქალაქის გამწვანება და ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო. | 2023 წელს გაითიბა მწვანე საფარი 3 312 606 კვ.მ ფართზე. მოიჭრა 80 ძირი ხე, ფორმირებულ იქნა 1375 ძირი ხე-მცენარე და 525 გრძ.მ ბუჩქი, შეთეთრებულ იქნა 4035 ძირი ხე, დაირგო ძირი 147 (პალმა, მუა, კედარი) ნარგავი, გაიკაფა ტყე-პარკი-109100 კვ.მ. | 2024 წელს გათიბულ იქნება 3 350 000 კვ.მ ფართის მწვანე საფარი, გაიკაფება 115 000 კვ.მ ტერიტორია, მოჭრილ იქნება 75 ძირი ხე, დამუშავდება 90 ძირი ხე, ფორმირებულ იქნება 500 ძირი ხე-მცენარე და 1550 ძირი ბუჩქი, შეთეთრდება 4200 ძირი ხე, შეკეთდება და შეიღებება 350 ცალი მოსასვენებელი სკამი. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია | 03 05 | 344,0 | პრევენციული ღონისძიებების გატარებით შემცირდება უმეთვალყურეოდ დარჩენილი პირუტყვის ქალაქში ხეტიალის შემთხვევები და მოხერხდება მაწანწალა ძაღლების აღრიცხვა -კონტროლი | 2023 წელს დაფიქსირდა ქალაქში პირუტყვის ხეტიალის 78 შემთხვევა. შედგენილ იქნა სამართალდარღვევის 78 ოქმი-125 სულ პირუტყვზე. ცხოველთა მეპატრონეების მიერ საწარმოს ანგარიშზე შემოტანილ იქნა 5970 ლარი, ხოლო ხაზინაში -ჯარიმის თანხა 2930 ლარი. განხორციელდა 360 ერთეული მიუსაფარი ძაღლის დროებითი იზოლირება-გაყვანა, იდენტიფიკაცია საჭდით, დეჰელმენტიზაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია და დაბრუნება პირვანდელ ლოკაციაზე | 2024 წელს განხორციელდება 360 ერთეული მიუსაფარი ძაღლის დროებით იზოლირება-გაყვანა და შესაბამისი პროცედურების ჩატარება. პრევენციული ღონისძიებების გატარებით შემცირდება ქალაქში მოხეტიალე პირუტყვის რაოდენობა. ფაქტის დაფიქსირებისას კი მოხდება მათი გადაყვანა სპეც.სადგომზე და მეპატრონეთა დაჯარიმება |
| IV. განათლება | 04 00 | 5 267,8 | | | |
| სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (ა(ა)იპ- თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება) | 04 01 | 4 621,5 | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტები.ხარისხიანი მუნიციპალური სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა. | სკოლისთვის მზადყოფი ბავშვების რაოდენობა 35% და მოსახლეობის (მშობლების) კმაყოფილება 70%. დასრულდა 1ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. დაიწყო 1 საბავშვო ბაღის მშენებლობა. სრულად რეაბილიტირდა 1 სკოლამდელი დაწესებულება.<br>15 სკოლამდელი დაწესებულება მოემსახურა 1500-მდე აღსაზრდელს. გაიზარდა აღსაზრდელთა კვების დღიური თანხა 2,8 ლარიდან 3,3 ლარამდე. | სკოლისთვის მზადყოფი ბავშვების რაოდენობა 28% და მოსახლეობის (მშობლების) კმაყოფილება 90%. 2024 წლის ბოლოსთვის იგეგმება 1500- მდე აღსაზრდელის მიღება. მიმდინარეობს 1 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობა. გაიზარდა აღსაზრდელთა კვების დღიური თანხა 3,3 ლარიდან 4,3 ლარამდე. |
| სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია | 04 02 | 3,5 | მოწესრიგებული და გამართული ინფრასტრუქტურა. | N1 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დემონტაჟი | N17 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულების ღობის მოწყობა |
| საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 04 04 | 41,5 | მოსწავლეთა სასწავლო მზაობის ხელშეწყობა. გაუმჯობესებული სასწავლო პროცესი.  | ქალაქ ფოთის სსიპ №4 და აფხაზეთის №21 საჯარო სკოლის 100 სკოლის მოსწავლის მომსახურება სატრანსპორტო საშუალებებით საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე. | 2024 წელს ტრანსპორტირებით მოვემსახურებით 63 მოსწავლეს |
| სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხელშეწყობა | 04 06 | 601,3 | სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული და წარმატებული ფოთელი სტუდენტების სწავლის ხელმისაწვდომობის გაზრდა, მოტივაციის ამაღლება, სტიმულირება, აკადემიური და პროფესიული წინსვლა-განვითარების ხელშეწყობა/მხარდაჭერა. | | 2024 წელს 8 სტუდენტს დაუფინანსდა სწავლის გადასახადი. 2 სტუდენტი საზღვარგარეთ გაემგზავრა სასწავლო პროგრამით. |
| V. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობა და სპორტი | 05 00 | 10 236,3 | | | |
| სპორტის სფეროს განვითარება | 05 01 | 6 880,0 | | | |
| რაგბის სასპორტო სკოლის ხელშეწყობა | 05 01 01 01 | 860,1 | წარმატებული სპორტსმენები და სპორტული შედეგები. | საქართველოს ჩემპიონატის „ბ“ ლიგა დაბრუნდა ოქროს ლიგაში. საფესტივალო ასაკის გუნდებს შორის ჩატარებული 44 თამაშიდან 42 მოგება და 2 წაგება. 7 მწვრთნელი 220 სპორტსმენს ემსახურებოდა. | 2024 წელს 7 მწვრთნელი 190 სპორტსმენს ემსახურება. საფესტივალო ასაკის გუნდებს შორის ჩატარებული 24 თამაშიდან 23 მოგება და 1 წაგება. საქართველოს ჩემპიონატის „ბ“ ლიგის ვერცხლის ჯგუფიდან გუნდი ოქროს ჯგუფში გადავიდა. მე-2 ლიგის გუნდი გადავიდა პირველ ლიგაში, |
| ხელბურთის კლუბის "ოქროს ვერძის" ხელშეწყობა | 05 01 01 02 | 150,3 | ჩართულობა სპორტის ამ სახეობაში, ჯანსაღი თაობის აღზრდა, სპორტსმენების მიღწევების კიდევ უფრო გაუმჯობესება, წარმატებული სპორტსმენების ნაკრებისათვის შერჩევა, საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილეობის მიღება და მაქსიმალური შედეგების დადება. | ეროვნულ ჩემპიონატებში მიღწეული შედეგები - 3 ასაკობრივ კატეგორიაში (ორი პირველი ადგილი და ერთი მე-2 ადგილი). სამოყვარულო ჯგუფების სპორტულ აქტივობებში ჩართვა - 36 პერსონა. 4 მწვრთნელი 103 სპორტსმენს ემსახურებოდა. | 2024 წელს 4 მწვრთნელი 98 სპორტსმენს ემსახურება. ეროვნულ ჩემპიონატებში მიღწეული შედეგები - 3 ასაკობრივ კატეგორიაში (2 გუნდი ჩემპიონი, ერთი გუნდი - მესამე ადგილი) |
| ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 05 01 02 | 474,9 | ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად გატარება, ნიჭიერი ახალგაზრდების მოტივირება და ინიციატივების წახალისება, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება. | ჩატარდა 100 სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიება. 60 წარჩინებული სტუდენტი დაჯილდოვდა ნიკო ნიკოლაძის სტიპენდიით. 26 წარმატებული სპორტსმენი და მათი მწვრთნელები დაჯილდოვდა ფულადი ჯილდოთი. | 2024 წელს ჩატარდება 80 სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიება. 66 წარჩინებული სტუდენტი დაჯილდოვდება ნიკო ნიკოლაძის სტიპენდიით. 30 წარმატებული სპორტსმენი და მათი მწვრთნელები დაჯილდოვდა ფულადი ჯილდოთი. |
| სპორტისა და ტურიზმის ცენტრის ხელშეწყობა | 05 01 03 | 3155,2 | მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ჯანსაღი თაობის აღზრდა, სპორტული წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა და გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის პირობების შექმნა, სპორტსმენთა მიღწევების კიდევ უფრო გაუმჯობესება. | 2023 წელს ჩატარდა ფოთის მე-16 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო 415 მოჭადრაკემ. სპორტულ ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა - 1260. ეროვნულ ჩემპიონატებში მიღწეული შედეგები - 186 ჩემპიონი და პრიზიორი. | 2024 წელს ჩატარდა ფოთის მე-17 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო 456 მოჭადრაკემ. სპორტულ ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა - 1156. ეროვნულ ჩემპიონატებში მიღწეული შედეგები - 128 ჩემპიონი და პრიზიორი |
| კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში | 05 01 05 | 562,3 | გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა. სპორტით დაინტერესებულთა რაოდენობის ზრდა | რეაბილიტირებულ იქნა მინი სპორტული მოედნები, კაპიტალურად შეკეთდა 9 მინი სპორტული მოედანი და საფეხბურთო კლუბის "კოლხეთი-1913" ბაზა. დაფინანსდა პროექტირება-ექსპერტიზის ხარჯები. | 2024 წელს განხორციელდება 4 მინი სპორტული მოედნის კაპ. შეკეთება, შესრულდება ცენტრალური სტადიონის გახმოვანების სისტემის მოწყობის სამუშაოები |
| მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა | 05 01 07 | 131,0 | გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა. სპორტით დაინტერესებულთა რაოდენობის ზრდა | 37 მინი სპორტული მოედნის მოვლა-პატრონობა. | განხორციელდება 37 მინი სპორტული მოედნის მოვლა-პატრონობა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსის ხელშეწყობა | 05 01 09 | **1546,2** | ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად გატარება; სპორტით დაინტერესებულთა რაოდენობის ზრდა, ჯანსაღი თაობის აღზრდა, მასობრიობა. | 2023 წლის საკუთარი შემოსავალი 400,0 ათას ლარამდე შეადგენს. ჩატარდა ცურვის შემსწავლელი ფესტივალი, რომლის ფარგლებშიც 5-16 წლამდე 400-მა ბავშვმა ისარგებლა; თბილისის 16 წლამდე წყალბურთელ გოგონათა გუნდ „ივერიას" სპორტული შეკრება; საფეხბურთო კლუბი ფოთის კოლხეთი-1913 სპორტული შეკრება, N16 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ნანა ალექსანდრიას თასი 2023" ; სულ აუზის სერვისით 4000-მდე მომხმარებელმა ისარგებლა; | 2024 წლის მოსალოდნელი საკუთარი შემოსავალი 600,0 ათას ლარამდეა. ჩატარდა თბილისის 16 წლამდე წყალბურთელ გოგონათა გუნდ „ივერიას" სპორტული შეკრება; N17 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ნანა ალექსანდრიას თასი 2024" ; წლის ბოლომდე ჩატარდება 3 სპორტული ღონისძიება; სულ აუზის სერვისით 2500-მდე მომხმარებელი ისარგებლებს; |
| **კულტურის სფეროს განვითარება** | **05 02** | **3 284,2** | | | |
| აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის ხელშეწყობა | 05 02 01 01 | 394,1 | ხელოვნების სასურველი მიმართულებებით სწავლება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა. საერთაშორისო სამხატვრო პლენერებისა და ფესტივალების მეშვეობით კონტაქტების დამყარება უცხოელ მხატვრებთან. | პროგრამით ისარგებლა 190 მოსწავლემ (მ.შ. – 98 გოგო, 92 - ბიჭი). ჩატარდა 27 ღონისძიება. სასწავლო შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 106 (მ.შ. 86 გოგო, 20 ბიჭი). გამოვლინდა ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენა-გაყიდვებში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული 10 მოსწავლე. | 2024 წელს ჩატარდება 27 ღონისძიებება. პროგრამაში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა - 250, მათ შორის წარჩინებული 106 მოსწავლე. მოიმატებს განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვების რაოდენობა. |
| არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ხელშეწყობა | 05 02 01 02 | 546,8 | განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა. | ჩატარდა 8 შიდა ღონისძიება, საანგარიშო კონცერტის სახით. 10 საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში იქნა მონაწილეობა მიღებული, სადაც მოპოვებულ იქნა სხვადასხვა ხარისხის ჯილდოები და სიგელები. მათ შორის ოქროს მედლები და 2 გრან-პრი. სასწავლო კურსი 8 მოსწავლემ დაამთავრა წარჩინებით. | 2024 წელს ჩატარდება 40 ღონისძიებება. პროგრამაში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა - 340, მათ შორის წარჩინებული 7 მოსწავლე.. |
| მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის ხელშეწყობა | 05 02 01 03 | 585,0 | ხელოვნების სასურველი მიმართულებებით სწავლება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა. მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში. | 2023 წელს ჩატარდა 28 ღონისძიება. პროგრამაში ჩართული იყო 600 მოსწავლე. საქართველოს სამეჯლისო ჩემპიონატზე მოვიპოვეთ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები. | 2024 წელს ჩატარდება 40 ღონისძიება. პროგრამაში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა - 600. საქართველოს სამეჯლისო ჩემპიონატზე მოვიპოვეთ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები. |
| ფოლკლორის ცენტრის ხელშეწყობა | 05 02 01 04 | 695,0 | ქართული ტრადიციული კულტურის შენარჩუნება, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვა, ხალხური ხელოვნების გადარჩენა, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და ხელშეწყობა. | 2023 წელს ჩატარდა 25 ღონისძიება, რომელშიც ჩართული იყო 180 მოსწავლე, ჩატარდა 7 საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალზე მოვიპოვეთ 2 გრან-პრი, სამი პირველი ადგილი და ოქროს მედალი. გამოვლინდა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული 12 მოსწავლე. | 2024 წელს ჩატარდება 20 ღონისძიებება. პროგრამაში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა - 230, მათ შორის წარჩინებული სტატიუსით 5. |
| საგამოფენო დარბაზის ხელშეწყობა | 05 02 01 05 | 230,8 | მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში; ნიჭიერი შემოქმედი ადამიანების გამოვლენა, წარმოჩენა. | პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 20 ღონისძიება. | პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 20 ღონისძიება. დამთვალიერებლის რაოდენობა 2000. |
| საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა | 05 02 01 06 | 324,1 | ბიბლიოთეკების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. გაზრდილი ბეჭვდითი და ელექტრონული ფონდი. ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. | დასრულდა საბიბლიოთეკო გაერთიანების სამკითხველო დარბაზში ელექტრო გაყვანილობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობდა 1850 მკითხველი. ჩატარდა 135 ღონისძიება. | საბაზისო მაჩვენებლის 20%-ით ზრდა. |
| რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა | 05 02 01 07 | 35,0 | მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში, სხვადასხვა ქვეყნების კულტურის გაცნობა, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა. | ჩატარდა რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი | ჩატარდება რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი |
| **კულტურული ღონისძიებები** | **05 02 02** | **466,4** | მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა. | განხორციელდა 5 კულტურული აქტივობა, წახალისდა 2 დამსახურებული მუშაკი და სკოლის წარჩინებული 20 მოსწავლე და 10 პედაგოგი. | განხორციელდება ათამდე კულტურული აქტივობა, წახალისდა 9 პედაგოგი და 34 წარჩინებული მოსწავლე. |
| **კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში** | **05 02 03** | **7,0** | მოწესრიგებული და გამართული ინფრასტრუქტურა. | კაპ.შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა ფოლკლორის ცენტრის ადმინისტრაციული შენობის სახურავს. | კაპიტალურად შეკეთდება კულტურის სახლი, შესყიდულ იქნება სხვა სახელოვნებო დაწესებულებების საპროექტო დოკუმენტაცია |
| **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** (უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძარი) | **05 03** | **72,1** | ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, მოსახლეობის სულიერების ამაღლება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა. | დაფინანსდა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის, ფოთისა და ხობის ეპარქიის (ქალაქ ფოთში მდებარე რეზიდენციის) კომუნალური ხარჯები | დაფინანსდება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის, ფოთისა და ხობის ეპარქიის (ქალაქ ფოთში მდებარე რეზიდენციის) კომუნალური ხარჯები და საჭიროებისამებრ, გარკვეული სამუშაოები |
| **VI. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **06 00** | **6 024,2** | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ა(ა)იპ "თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" | 06 01 | 272,2 | მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება. | ჩატარდა 8100 ჩხვლეტა -- ვაქცინაცია, რამაც შეადგინა მოცვის მაჩვენებელი 89%. ბავშვთა და დევნილთა პოლიკლინიკებში ჩატარდა გეგმიური აცრები. ჩატარდა მონიტორინგი ქალაქში არსებულ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში 24-ჯერ ეპიდზედამხედველობის საკითხებზე. დაგამბუზირება მოხდა 10 ჰექტარ ანოფელოგენურ წყალსაწევში. კოღოს საწინააღმდეგოდ დამუშავდა 1760000 კვ.მ ფართობი. შემოწმდა 11 სტომატოლოგიური კლინიკა ეპიდრეჟიმის დაცვის საკითხებზე. | ჩატარდება 5426 პროფილაქტიკური აცრები, რამაც შეადგინა მოცვის მაჩვენებელი 91%. შემცირდა მართვადი, ბავშვთა ინფექციური დაავადებები და სხვა გადამდები ინფექციება ( ჩატარდება ეპიდ. კვლევა 3120), მალარიის პრევენციის მიზნით ჩატარდა წყალსატევების პასპორტიზაცია. სულ 27 წყალსატევი. დაგამბუზირება მოხდა 10 ჰექტარ ანოფელოგენურ წყალსაწევში. კოღოს საწინააღმდეგოდ დამუშავდა760000 კვ.მ ფართობი. შემოწმდა 11 სტომატოლოგიური კლინიკა ეპიდრეჟიმის დაცვის საკითხებზე. |
| ჯანდაცვის სხვა პროგრამები | 06 02 | 1340,1 | ჯანდაცვის სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | დახმარება გაეწია 2489 ბენეფიციარს, მათ შორის 1602 ქალი და 887 მამაკაცი. | 2024 წელს დახმარება გაეწევა 2731 ბენეფიციარს |
| სამედიცინო მომსახურების დაფინანსება | 06 02 01 | 581 | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სერვსების ხელმისაწვდომობა | დახმარება გაეწია 647 ბენეფიციარს, მათ შორის 362 ქალი და 285 მამაკაცი | 2024 წელს იგეგმება 1100 ბენეფიციარის დაფინანსება |
| მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა | 06 02 02 | 120,0 | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ავთვისებიანი სიმსივნითა და ლეიკოზით, ეპილეფსიით, კორონა ვირუსით (COVID-19) დაავადებულ პირთა მედიკამენტოზური მკურნალობის ხელმისაწვდომობა | დახმარება გაეწია 1174 ბენეფიციარს, მათ შორის 862 ქალი, 312 მამაკაცი | 2024 წელს იგეგმება 900-მდე ბენეფიციარის დაფინანსება |
| სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევა | 06 02 04 | 45,6 | ინფექციური დაავადებების და ეპიდაფეთქებების პრევენცია | ჩატარდა 382 ანალიზი | 2024 წელს ჩატარდება 382 ანალიზი |
| შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება | 06 02 05 | 549 | შშმ ბავშვთა, მათ შორის აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე პირთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის ხელმისაწვდომობა | დახმარება გაეწია 211 ბენეფიციარს, მათ შორის 65 გოგონა, 146 ვაჟი | 2024 წელს იგეგმება 220-მდე ბენეფიციარის დაფინანსება |
| ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულ (21 წლამდე ასაკის) პირთა კვებითი დანამატებით უზრუნველყოფა | 06 02 06 | 10,5 | კვებითი დანამატებზე ხელმისაწვდომობა | დახმარება გაეწია 5 ბენეფიციარს, მათ შორის 2 გოგონა, 3 ვაჟი | 2024 წელს იგეგმება 7 ბენეფიციარის დაფინანსება |
| კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება | 06 02 07 | 4,0 | კოხლეარული იმპლანტის ნორმალური ფუნქციონირების შენარჩუნება | დახმარება გაეწია 2 ბენეფიციარს, 1 გოგონა, 1 ვაჟი. | 2024 წელს იგეგმება 4 ბენეფიციარის დაფინანსება |
| საქმიანობათა ცენტრი ფოთში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის | 06 02 10 | 30,0 | ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოციალური მხარდაჭერა, ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარება | დახმარება გაეწია 450 ბენეფიციარს, მათ შორის ქალი 310, კაცი 140 | 2024 წელს იგეგმება 500 ბენეფიციარის დახმარება |
| ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია | 06 03 | 147,9 | მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, მოწესრიგებული და გამართული ინფრასტრუქტურა. | | დაფინანსდება 112-ის ოფისისა და მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები |
| სოციალური დაცვა | 06 04 | 1224,0 | | | |
| სარიტუალო მომსახურება | 06 04 01 | 30,0 | სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა გარდაცვლილთა ოჯახებისათვის ფინანსური მხარდაჭერის გაწევა. | დახმარება გაეწია 37 ოჯახს, მათ შორის (ქალი-16, კაცი-21). | 2024 წელს დახმარება გაეწევა 100-მდე ოჯახს. |
| მარტოხელა მშობელთა დახმარება | 06 04 02 | 79,6 | ყოველთვიური მატერიალური დახმარება მარტოხელა მშობელს 50 ლარის ოდენობით, მოზარდის 18 წლის ასაკის შესრულებამდე. | დახმარება გაეწია 133 მარტოხელა მშობელს, მათ შორის (ქალი-132, კაცი-1) | 2024 წელს დახმარების გაწევა იგეგმება 150 მარტოხელა მშობელზე. |
| ბავშვთა ცენტრის ხელშეწყობა | 06 04 03 | 242,0 | მზრუნველობამოკლებულ, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბავშვების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, მათი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება, მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. სამომავლოდ, თავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის მზადყოფნა. | პროგრამით ისარგებლა 10 ბენეფიციარმა (3 გოგო, 7 ბიჭი) | პროგრამით ისარგებლებს 10 ბენეფიციარი |
| განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამა | 06 04 04 | 50,0 | მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ფინანსური მხარდაჭერა. | დახმარება გაეწია 28 მოქალაქეს (კაცი-21, ქალი-7) | 2024 წელს დახმარების გაწევა იგეგმება 35 მოქალაქეზე. |
| 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და დაჭრილ მოქალაქეთა დახმარება | 06 04 05 | 25,6 | 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და დაჭრილ მოქალაქეთა ოჯახებისათვის მატერიალური და მორალური დახმარების გაწევა. | დახმარება გაეწია 13 ოჯახს (კაცი-13) | 2024 წელს დახმარება გაეწევა 14 კაცს. |
| მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, ამავე ომის შშმ პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარება | 06 04 06 | 6,6 | მეორე მსოფლიო ომის მონაწილეეთა, ამავე ომის შშმ პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილე ბენეფიციარების ფინანსური მხარდაჭერა. | დახმარება გაეწია 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე მცხოვრებ 20 ვეტერანს 300 ლარის ოდენობით (კაცი-18, ქალი-2) | 2024 წელს დახმარება გაეწევა 20 ვეტერანს. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უსინათლოებისა და სმენადაქვეითებულთა დახმარების პროგრამა | 06 04 08 | 58,0 | უსინათლოების და სმენადაქვეითებულთა მოსარგებლე ბენეფიციარების ფინანსური მხარდაჭერა კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად. | დახმარება გაეწია 75 უსინათლო და სმენადაქვეითებულ მოქალაქეს (კაცი-42, ქალი-33) | 2024 წელს დახმარება გაეწევა 79 ბენეფიციარს. |
| უსინათლოებისათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შეძენა | 06 04 09 | 1,0 | უსინათლოებისათვის მონაწილე ბენეფიციართა ფინანსური მხარდაჭერა წნევის ხმოვანი აპარატის შესაძენად. | დახმარება გაეწია 1 უსინათლო მოქალაქეს წნევის გამზომი ხმოვანი აპარატის შესაძენად (ქალი - 1) | 2024 წელს დახმარება გაეწევა 4 ბენეფიციარს. |
| შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად | 06 04 10 | 13,0 | შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარება კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად. | დახმარება გაეწია შშმ ბავშვთა დღის ცენტრს 6 200 ლარით, კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად. | 2024 წელს დახმარების გაწევა იგეგმება შშმ ბავშვთა დღის ცენტრის 13 000 ლარით, კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად. |
| სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერა | 06 04 11 | 20,0 | სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესება. | დახმარება გაეწია 7 სოციალურად დაუცველ სტუდენტს (ბიჭი-4, გოგო-3) | 2024 წელს დახმარება გაეწევა 20 სტუდენტს. |
| ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები | 06 04 12 | 2,1 | ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მონაწილე ბენეფიციართა მატერიალური მხარდაჭერა. | დახმარება გაეწია 1 ქალს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს. | 2024 წელს დახმარების გაწევა იგეგმება 7 ძალადობის მსხვერპლზე. |
| ახალშობილთა ოჯახების დახმარება | 06 04 14 | 10,0 | ახალშობილთა ოჯახების თანადგომა და წახალისება. | დახმარება გაეწია 107 ახალშობილ ოჯახს (გოგო-47, ბიჭი-60) | 2024 წელს დახმარების გაწევა იგეგმება 100-მდე ახალშობილ ოჯახზე. |
| მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება | 06 04 16 | 243,1 | მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და წახალისება. | დახმარება გაეწია 330 მრავალშვილიან ოჯახს. (გოგო - 513, ბიჭი - 525). | 2024 წელს დახმარების გაწევა იგეგმება 335 მრავალშვილიან ოჯახზე. |
| ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება | 06 04 17 | 40,0 | მრავალშვილიან ოჯახთა ცხოვრების გაუმჯობესება, მათი დემოგრაფიული მაჩვენებლის ზრდა. | დახმარება გაეწია 18 მრავალშვილიან ოჯახს 2000 ლარის ოდენობით. | 2024 წელს დახმარების გაწევა 20-მდე ხუთი და მეტ მრავალშვილიან ოჯახს |
| სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებები | 06 04 18 | 115,4 | ობლების, ქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პენსიონრების, ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის ლიკვიდაციის მონაწილეთათვის, ქალაქში მცხოვრები უხუცესების, შშმ მოზარდების, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა, თანდაყოლილი გულის მანკით და ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვთათვის ფინანსური წახალისება. სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული, სხვადასხვა საჭიროების მქონე ოჯახების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა. | დახმარება გაეწია 284 მოქალაქეს (სასურსათო/სასაჩუქრე პაკეტის შეძენა). პროგრამით ისარგებლა 560 მოქალაქემ სხვადასხვა დახმარებით. | 2024 წელს დახმარება გაეწევა 1500-მდე მოქალაქეს, (სასურსათო/სასაჩუქრე პაკეტის შეძენა). |
| განსაკუთრებით მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება | 06 04 19 | 40,0 | სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული, ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. | დახმარება გაეწია 14 ოჯახს. | 2024 წელს დახმარება გაეწევა 20-მდე ოჯახს. |
| მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მარტოდ მცხოვრები (მარტოხელა), სოციალურად დაუცველი, პენსიონერი მოქალაქეებისათვის გაზიფიცირების ხელშეწყობის პროგრამა | 06 04 20 | 3,0 | სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. | | 2024 წელს დახმარება გაეწევა 3 მოქალაქეს. |
| გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა | 06 04 21 | 15,0 | ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული ინიციატივების გამოვლენა. საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიური ჩართულობისა და გაძლიერების ხელშეწყობა. | დახმარება გაეწია 6 მოქალაქეს (ქალი-6). | 2024 წელს დახმარება გაეწევა 3 მოქალაქეს. |
| თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა | 06 04 22 | 185,6 | თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. | ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნით დახმარება გაეწია 16 ოჯახს ( ქალი-11, კაცი-5) | 2024 წელს ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნით დახმარების გაწევა იგეგმება 40-მდე ოჯახზე. |
| ჟანგბადდამოკიდებული ბენეფიციარების მატერიალური დახმარება ჟანგბადით უზრუნველყოფის მიზნით | 06 04 26 | 2,0 | ჟანგბადდამოკიდებული ბენეფიციარებისათვის ჟანგბადით უზრუნველყოფის მიზნით მატერიალურ დახმარება წელიწადში ორჯერ 300 ლარით. | | 2024 წელს დახმარება გაეწევა 7-მდე ბენეფიციარს. |
| საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების ფინანსური დახმარება | 06 04 27 | 10,2 | „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ბავშვის ოჯახის მხარდამჭერი ღონისძიება, საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესება. | დახმარება გაეწია 44 ოჯახის 101 ბავშვს (გოგო-45, ბიჭი-56). | 2024 წელს დახმარება გაეწევა 45 ოჯახს. |
| დიაბეტით დაავადებულ (18 წლამდე) ბავშვთა მატერიალური დახმარების პროგრამა | 06 04 28 | 16,8 | ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ფინანსური მხარდაჭერა. | დახმარება გაეწია 13 მოზარდს (გოგო-9, ბიჭი-4). | 2024 წელს დახმარების გაწევა იგეგმება 16 მოზარდზე. |
| სოციალურად დაუცველი და საჭიროების მქონე მოსწავლეების სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფა | 06 04 30 | 10,0 | „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ბავშვის ოჯახის მხარდამჭერი ღონისძიება, საჭიროების მქონე ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, სასწავლო წლის განმავლობაში, სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფ.ა | დახმარება გაეწია 57 ოჯახის 90 ბავშვს (გოგო-38, ბიჭი-52). | 2024 წელს სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფილი იქნება 100-მდე ბავშვი. |
| რეინტეგრირებული და რეინტეგრაციას დაქვემდებარებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება | 06 04 32 | 5,0 | „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ბავშვის ოჯახის მხარდამჭერა, ბავშვიანი ოჯახების სოციალური ხელშეწყობა, სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნება და მიტოვების რისკების პრევენცია | | 2024 წელს დახმარება გაეწევა 3 ოჯახს |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სოციალური მომსახურების ცენტრის ხელშეწყობა | 06 07 | 1640,0 | გაუმჯობესდება მოსახლეობის მომსახურების სერვისი და ცალკეული კატეგორიების მოქალაქეთა სოციალური პირობები. | უფასო სასადილოს მომსახურებით ისარგებლა 360 ბენეფიციარმა. შინმოვლის პროგრამით ისარგებლა 28 ბენეფიციარმა. (ქალი - 236, კაცი - 152). | 2024 წელს უფასო სასადილოს მომსახურებით ისარგებლებს 380 ბენეფიციარი. შინმოვლის პროგრამით ისარგებლებს 35 ბენეფიციარი. |
| ფოთის სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდირება | 06 08 | 1400,0 | მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას. | პროგრამით ისარგებლა 900 000 მგზავრმა. მოემსახურა 12 ავტობუსი. | 2024 წელს პროგრამით ისარგებლებს 500 000 მგზავრი. მოემსახურება 12 ავტობუსი. |
| **სულ ჯამი** | | **77 964,6** | | | |